



# მწვანე ქიმიის 12 პრინციპი



## 1. ნარჩენების პრევენცია



სასურველია პროცესის წარმართვა თანაური პროდუქტის მინიმალური რაოდენობის მიღებით, რათა თავიდან ავიცილოთ არამიზნობრივი პროდუქტის უტილიზაცია და ამ პროცესისათვის საჭირო დამატებითი ხარჯი.

## 7. აღდგენადი რესურსები



სასურველია აღდგენადი რესურსების გამოყენება, როგორიცაა მცენარეული წარმოშობის რესურსები და სხვა პროცესების ნარჩენები.

## 2. ატომეკონომია/ატომეფექტიანობა



ქიმიური რეაქცია უნდა დაიგეგმოს იმგარად, რომ რეაგენტებში შემავალი ატომები მაქსიმალურად მოხვდნენ მიზნობრივი პროდუქტში და არა თანაურში.

## 8. შუალედური პროდუქტების შემცირება



მრავალსაფეხურიან პროცესს თან ახლავა შუალედური ნაერთების წარმოქმნა, რაც არასასურველია, ვინაიდან ყოველი დამატებითი საფეხური/ეტაპი ზრდის გამოყენებული რესურსებისა და წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობას.

## 3. არატოქსიკური რეაქტივები



ექსპერიმენტში ადამიანის ჯანმრთელობისათვის და გარემოსათვის ნაკლებად საზიანო რეაქტივების გამოყენება

## 9. კატალიზატორის გამოყენება



ამცირებს რეაქციის ტემპერატურას, რითაც ზოგადს ენერგიას; ამცირებს გვერდითი რეაქციების ალბათობას; ზრდის მიზნობრივი პროდუქტის გამოსავალს.

## 4. არატოქსიკური პროდუქტები



ექსპერიმენტის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობისათვის და გარემოსათვის ნაკლებად ტოქსიკური რეაქციის პროდუქტების მიღება

## 10. ნარჩენების უტილიზაცია



სასურველია, რეაქციის შედეგად მიღებული ნივთიერება იყოს ბიოდეგრადირებადი და დამლის პროდუქტები არ იყოს გარემოსათვის საზიანო.

## 5. არატოქსიკური გამხსნელები



უმჯობესია რეაქციის ჩატარება გამხსნელის გარშე, თუ გამხსნელი საჭიროა, სასურველია, ის იყოს არატოქსიკური ან ნაკლებად ტოქსიკური და იყოს სუფთა, რათა თავიდან ავიცილოთ ექსპერიმენტის დამატებითი ეტაპი-გამხსნელის გასუფთავება.

## 11. გარემოს დაბინძურების პრევენცია



ამა თუ იმ რეაქციის ჩატარებისათვის ოპტიმალური პირობების შერჩევისას ერთ-ერთი ფაქტორი უნდა იყოს გარემოში მავნე, ტოქსიკური ნივთიერებების გამოყოფის პრევენცია.

## 6. ენერგიის მინიმალური ხარჯი



სასურველია ისეთი ექსპერიმენტების შერჩევა, რომელთა ჩატარება შესაძლებელია ოთახის ტემპერატურაზე ან რომელთა ჩატარებას სჭირდება ენერგიის მინიმალური დანახარჯი.

## 12. უსაფრთხოების წესების დაცვა



უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით უნდა: ა) დავიცვათ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები; ბ) შევარჩიოთ ისეთი ცდები, რომ თავიდან ავიცილოთ გაზის გაქონვა, აფეთქება ხანძარი.